სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

62225337174017

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170708977

რეგისტრაციის თარიღი

26.06.2017 წ

ნოტარიუსი: თეიმურაზ ბურდილაძე

მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანი ქ. #10

ტელეფონი: 94-60-78

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოცდაექვს ივნისს, მე, ნოტარიუს თეიმურაზ ბურდილაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ.თბილისი: ც.დადიანის ქ.№10, მომმართა **მოქ. მერაბი ტალახაძემ.** მან განაცხადა რომ არის შპს „ვილასტი“-ს დირექტორი და მოითხოვა სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად **მოქ მერაბი ტალახაძემ** (დაბ 06.05.1954წ პირადი №01024030248, მის ქ. თბილისი, შმიდტის ქ. №100) –მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევამოწმე მისი უფლებამოსილება, იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „ვილასტი“, რასაც ადასტურებს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B16042293, ამონაწერის მომზადების თარიღი 16.03.2016 16:00:00, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა, ნათლად და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოცდაექვს ივნისს მოქ. მერაბი ტალახაძემ, როგორც შპს „ვილასტი“-ს **დირექტორმა** (საიდენტიფიკაციო კოდი 200258577), წინამდებარე მინდობილობით **მოქ. რამაზ ტვილდიანს** (დაბადებული 30.07.1954წ პირადი №01009016511, მის. თბილისი, ვ.ფშაველას გამზ. 7 კვ, 22 კორპ, ბ 37), შემდეგში « მინდობილი პირი », მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება :

მინდობილი პირი უფლებამოსილია წარმოადგინოს შ.პ.ს. « ვილასტი»-ს დირექტორის ინტერესები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო ინსპექციაში, მისი სახელით განახორციელოს ყველა ის უფლება-მოვალეობა, რაც ევალება მარწმუნებელს, როგორც შპს « ვილასტი»-ს დირექტორს, "მარწმუნებლის" სახელით ხელი მოაწეროს ყველა შესაბამის დოკუმენტსა და საბუთს, მონაწილეობა მიიღოს პარტნიორთა კრების მუშაობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით, მიიღოს გადაწყვეტილებები პარტნიორთა კრებებში, ხელი მოაწეროს ყველა (ნებისმიერი) დოკუმენტს, მათ შორის წესდებებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს.

შ.პ.ს. « ვილასტი»-ს სახელით შეიძინოს და განკარგოს (გაასხვისოს) უძრავი ქონება, განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ თანხა და სხვა პირობები, იყოს წარმომადგენელი იუსტიციის სახლში, სანოტარო ბიუროში, ქ. თბილისის მერიის ნებისმიერ სამსახურში, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ცნობა/დოკუმენტი, ხელი მოაწეროს მის მაგივრად, მათ შორის, ხელშეკრულებებს.

ასევე იყოს მისი წარმომადგენელი ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, განკარგოს შ.პ.ს. « ვილასტი»-ს საბანკო ანგარიშები ნებისმიერ ვალუტაში, აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაციები თანხის შეტანა-გატანის და გადარიცხვის, კონვერტაციის უფლებით, გახსნას და განკარგოს შ.პ.ს. « ვილასტი»-ს სახელზე ანგარიშები, ინტერნეტბანკი, დაამზადებინოს, განაახლოს, გაუგრძელოს მოქმედების ვადა და მიიღოს მიმნდობის სახელზე რიცხული პლასტიკური ბარათი და საბანკო ამონაწერი, ხელი მოაწეროს მის მაგივრად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია 26.06.2020წლამდე

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10-00 ლარი + რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად, აგრეთვე დღგ 1.8 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, სულ გადახდილია 13.80 ლარი

მიმნდობი მერაბ ტალახაძე

ნოტარიუსი თეიმურაზ ბურდილაძე